

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში (2016-2017 აკადემიური წელი)

- საერთაშორისო სტანდარტებთან ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისობა - 2016-17 სასწავლო წლის მანძილზე ბნსუ-მ გაიარა ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მომზადების პროცედურები და შესაბამისი აუდიტები. აუდიტების პროცესში არ გამოვლენილა არც ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი.
- საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება - აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა ტრენინგებში/სემინარებში: ა) ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნები და მათი დანერგვის მეთოდები ("The Requirements of International Standard ISO 9001:2015 and Methods of their Implementation") (AECConformity - Expertise in Conformity Assessment, 19.03.2016); ბ) GMDSS TGS 5000 ვერსია 8.4 სიმულატორის პრაქტიკაში გამოყენების სწავლების კურსი (Operational training course for GMDSS TGS 5000 Simulator version 8.4) (Transas Group, 06.04.2016); გ) LCHS 4000/5000 სიმულატორის პრაქტიკაში გამოყენების სწავლების კურსი (Operational training course for LCHS 4000/5000 Simulator) (Transas Group, 06.04.2016);
- საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განვითარება - შეძენილია: ა) აღჭურვილობა: კომპიუტერი - 10 (მათ შორის, 2 სტაციონარული, 18 მუთუბუკი), პროექტორი - 10, პრინტერი - 2, დაფა - 6, ბ) ბიბლიოთეკის ფონდი, შეძენილია: 24 სახელმძღვანელო (დღეისათვის ფონდი შეადგენს 16 134 ერთეულს);
- ქართულენოვანი სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის მომზადება - აკადემიური და მოწვეული პერსონალი აგრძელებს იმ სასწავლო კურსების რიდერების/სასწავლო მასალების მომზადებას და სახელმძღვანელოების თარგმანზე მუშაობას, სადაც შეინიშნება ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურის სიმწირე და/ან მოძველებულობა;
- სტუდენტების დამოუკიდებელი შემეცნებითი/კვლევითი მუშაობის ხელშეწყობა - აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერით პროგრამის სტუდენტების მიერ მომზადდა მცირე მოცულობის ნაშრომები/პრეზენტაციები. მათი წარდგენა სტუდენტთა თემატურ პრაქტიკულ კონფერენციაზე (2016 წლის 21 დეკემბერი).
- პროგრამის განხორციელების შეფასება და შემდგომი განვითარება - შიდა შეფასების მიზნით ჩატარდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანონიმური გამოკითხვები, სტუდენტთა კმაყოფილების შესწავლა ანონიმური ანკეტირების მეთოდით. 2016-17 სასწავლო წელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით, სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით ჩატარდა რეგულარული საჩვენებელი ლექცია-პრეზენტაციები ღია დასწრების რეჟიმში. ასევე, პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით ჩატარდა პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა (იხ. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2016-17 სასწავლო წლის ანალიზი და რეკომენდაციები);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სტუდენტების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა - დაიბეჭდა ბნსუ-სა და ეკერ-ის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“ მორიგი ნომერი, რომელიც მთლიანად დაეთმო ბნსუ-ში 2017 წლის 23-26 ივნისის ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მასალას.
- საერთაშორისო კავშირების გაძლიერება - საგანმანათლებლო კონსორციუმის ფარგლებში, ბნსუ-ს თანაორგანიზატორობით, 2017 წლის 3-7 აპრილს, სლოვაკეთსა და ავსტრიაში (ბრატისლავა - ვენა) გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია განათლების ევროინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით, რომელშიც ბნსუ-ს წარმომადგენლობითმა დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა.
- ლექტორ-მასწავლებელთა კვლევითი მუშაობისა და საერთაშორისო სამეცნიერო კავშირების ხელშეწყობა - 2017 წლის 24 ივნისს ბნსუ-ში გაიმართა მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ბნსუ-სა და ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის (პარტნიორებთან ერთად) ერთობლივი მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე საზღვაო ტექნოლოგიები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში ფაკულტეტების მიხედვით განხორციელდა შემდეგი საქმიანობა

- საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტი.** 2016-2017 სასწავლო წლის მანძილზე „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტზე ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:
 - 2016-2017 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტზე სისპო შეფასებისა და გამოცდები ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 30 აგვისტოს N179/16 ბრძანებების საფუძველზე საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტზე უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე (საზღვაო ნავიგაცია, გემის მექანიკა) დარეგისტრირდა და ბნსუს რექტორის 2016 წლის 15 სექტემბრის N03-40 ბრძანებით ჩაირიცხა 43 სტუდენტი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016-17 სწავლას ჩაირიცხა 196 სტუდენტი.
 - 2016-2017 სასწავლო წლის II სასწავლო წელზე სწავლა გააგრძელა აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე "საზღვაო ნავიგაციის" საგანმანათლებლო პროგრამაზე 18 სტუდენტმა. "გემის მექანიკის" საგანმანათლებლო პროგრამაზე - 6 სტუდენტმა.
 - 2016-2017 სასწავლო წლის III სასწავლო წელზე სწავლა გააგრძელა აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე "საზღვაო ნავიგაციის" საგანმანათლებლო პროგრამაზე 42 სტუდენტმა; "გემის მექანიკის" საგანმანათლებლო პროგრამაზე - 12 სტუდენტმა.
 - 2016-2017 სასწავლო წლის IV სასწავლო წელზე სწავლა გააგრძელა აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე "საზღვაო ნავიგაციის" საგანმანათლებლო პროგრამაზე - 25 სტუდენტმა (VII სემესტრზე) - 13 სტუდენტმა VIII სემესტრზე. "გემის მექანიკის" საგანმანათლებლო პროგრამაზე - 8 სტუდენტმა (VII სემესტრზე) - 13 სტუდენტმა VIII სემესტრზე.
 - 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩაირიცხა 10 სტუდენტი (რექტორის ბრძანება N03-42, 26.09.2016), ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის - 14 სტუდენტი (რექტორის ბრძანება N03-08, 28.02.2017).
 - 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადავიდა აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის 2 სტუდენტი და შეუწყდა სტუდენტის სატატუსი. (რექტორის ბრძანება N03-46, 04.10.2015, N03-54, 08.11.2016).
 - შიდა მობილობის წესის შესაბამისად გაზაფხულის სემესტრისათვის რექტორის ბრძანებით (N03-04, 13.02.2017) ლოგისტიკის ფაკულტეტის "საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვის" საგანმანათლებლო პროგრამის 1 სტუდენტი (გურამ კაკაბაძე) გადმოყვანილ იქნა

- საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის „საზღვაო ნავიგაციის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე
- o „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ საფუძველზე „საზღვაო ნავიგაციას“ და „გემის მექანიკის“ საგანმანათლებლო პროგრამებზე მთელი სასწავლო წლის მანძილზე სულ 7 სტუდენტი ჩაირიცხა.
 - o პირადი განცხადებისა და სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო ფინანსური დავალიანების მქონე აკადემიური უმაღლესი განათლების 74 სტუდენტს (რექტორის ბრძანებები: N03-50, 12.10.2016, №03-09. 28.02.2017, №03-12. 15.03.2017; №03-15. 27.03.2017, №03-17. 04.04.2017. №03-22. 14.04.2017, №03-20. 10.04.2017 №03-26. 21.06.2017) შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
 - o რექტორის ბრძანებებით (N03-51, 17.10.2016, N03-53, 04.11.2016, N03-55, 14.11.2016, N03-56, 21.11.2016, N03-05, 13.02.2017წ, N03-07, 20.02.2017წ, N03-11, 07.03.2017, N03-16, 30.03.2017, №03-21. 12.04.2017) აღდგენილი იქნა აკადემიური უმაღლესი განათლების 36 სტუდენტი).
 - o აკადემიური უმაღლესი და პროფესიული განათლების სასწავლო გეგმების მიხედვით მომზადდა ლექციების განრიგი.
 - o უზრუნველყოფილ იქნა სასწავლო პროცესის ორგანიზებულად დაწყების მიზნით ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციების სამსახურის დახმარებით ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
 - o დაზუსტებულ იქნა სასწავლო გეგმის მიხედვით აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების საათობრივი დატვირთვა. გაკეთდა ლექტორ/მასწავლებელთა კონსულტაციის გრაფიკი
 - o ორგანიზებულად ჩატარდა პირველი სასწავლო წლის სტუდენტებთან და მათ მშობლებთან შეხვედრა. გაფორმდა ხელშეკრულებები. მოწესრიგდა სტუდენტთა პირადი საქმეები.
 - o მთელი სასწავლო წლის განმავლობაში საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის და კურატორების მიერ ხორციელდებოდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შემოწმება.
 - o ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსების ახალი ფორმები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ბრძანებაში შესული ცვლილებების საფუძველზე საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი და მოწვეული სპეციალისტების მიერ შეტანილ იქნა ცვლილებები „გემის მექანიკისა“ და „საზღვაო ნავიგაციის“ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებსა და კურიკულუმში და ბნსუს აკადემიურ საბჭოზე დამტკიცდა
 - o ბნსუს პროფესორებისა და მოწვეულ სპეციალისტთა მიერ სხვადასხვა სასწავლო კურსებში გაკეთდა და დამუშავების პროცესშია სალექციო მასალა.
 - o სასწავლო პროცესის მონიტორინგის მიზნით ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავდა ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების ხარისხის შემოწმების გრაფიკი. გრაფიკით დადგენილ ვადებში შემოწმდა ლექტორის საქმიანობა.
 - o ორგანიზებულად ჩატარდა 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების შუალედური და დასკვნითი გამოცდები. შუალედურ გამოცდებს, რომელიც ტარდებოდა კომპიუტერული წესით, ორგანიზებას უკეთებდა სტუდენტთა რეგისტრაციის, შეფასებისა და მონიტორინგის სამსახური.
 - o მთელი წლის მანძილზე ხორციელდებოდა სტუდენტებთან სხვადასხვა პროფესორ და მოწვეულ სპეციალისტების მიერ ინდივიდუალური მუშაობა.
 - o ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსი. საბოლოო შედეგების საფუძველზე საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (უვადოდ) არჩეულ იქნა: პარმენ ხვედელიძე - საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნაოსნობა); ვახტანგ თავებრიძე - საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნაოსნობა); დურსუნ ცინცაძე - საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნაოსნობა); როლანდ რიჩკოვი - საზღვაოსნო მეცნიერებები (გემის მექანიკა); ანდრეი ლაზარტყავა - საზღვაოსნო მეცნიერებები (გემის მექანიკა); გელა გვარიშვილი - სამართალი (საზღვაო სამართალი). სლოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობაზე: გიორგი კვიციანი - საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნაოსნობა); ვალერიან იმნაიშვილი - საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნაოსნობა); შოთა ბარამიძე - საზღვაოსნო მეცნიერებები (გემის მექანიკა); ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა (4 წლის ვადით): ომარ ლომიძე - საზღვაოსნო მეცნიერებები (გემის მექანიკა);
 - o ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად არჩეულ იქნა შოთა ბარამიძე
 - o ბნსუში ჩატარდა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები. სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლად არჩეულ იქნა სტუდენტი დავით ჩხიკვაძე.
 - o სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით გატარდა სხვადასხვა ღონისძიებები:
 - o „სტუდენტური დღეები 2017“ მონაწილეობა მიიღო ბნსუს სტუდენტებმა ფეხბურთში, ფრენბურთში, ბილიარდში, ბოულინგში, ქუჩის კალათბურთში, ქლაქურ თამაშებში, ჩატარდა შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“.
 - o 2015-2016 სასწავლო წელს ბნსუში გატარდა სხვადასხვა ღონისძიებები: o
- მომზადდა და ჩატარდა ფაკულტეტის საბჭოს სხდომები;
- o 2016-2017 სასწავლო წელს დეკანატს ჩაუტარდა ხარისხის სამსახურის მიერ ხარისხის სისტემის გარე და შიდა აუდიტი.
 - o აკადემიური და პროფესიული კვალიფიკაციების მინიჭების შემსწავლელი კომისიის მუშაობის შედეგების განხილვის შედეგად: აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურის IV სასწავლო წლის „საზღვაო ნავიგაცია“ საგანმანათლებლო პროგრამის 28 სტუდენტმა მინიმალური ზღვარი გადალახა და მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია (რექტორის ბრძანებები: N03-02,10.02.2017, N03-28,17.07.2017). 11 სტუდენტს გაუგრძელდა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა 2017-18 სასწავლო წლის ბოლომდე (რექტორის ბრძანება N03-27,17.07.2017).
 - o აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურის IV სასწავლო წლის „გემის მექანიკა“ საგანმანათლებლო პროგრამის 19 სტუდენტმა მინიმალური ზღვარი გადალახა და მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია (რექტორის ბრძანებები: N03-02,10.02.2017, N03-28,17.07.2017). 4 სტუდენტს გაუგრძელდა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა 2017-18 სასწავლო წლის ბოლომდე (რექტორის ბრძანება N03-27,17.07.2017).
 - o პროფესიული განათლების პროგრამის გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურზე 71 სტუდენტმა 2016-2017 სასწავლო წლებში ათვისა 60 კრედიტი, და მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია.

- o პროფესიული განათლების პროგრამის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურზე 73 სტუდენტმა 2016-2017 სასწავლო წელს აითვისა 60 კრედიტი და მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია.
- p პროფესიული განათლების პროგრამის გემის ელექტროკოსის საგანმანათლებლო პროგრამის მესამე საფეხურზე 12 სტუდენტმა 2016-2017 სასწავლო წლებში აითვისა 60 კრედიტი და მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია.
- o პროფესიული განათლების პროგრამის გემის მზარეულის საგანმანათლებლო პროგრამის მეორე საფეხურზე 9 სტუდენტმა 2016-2017 სასწავლო წლებში აითვისა 45 კრედიტი და მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია.
- o 2017 წლის 24 ივნისს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართა მეზღვაურთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- o აქყამად, მიმდინარეობს 2017-2018 სასწავლო წლისათვის მზადება.

ლოგისტიკის ფაკულტეტი.

- o 2016–2017 წელს საგანმანათლებლო პროგრამები დაასრულა 24 სტუდენტმა. (13 ბაკალავრი, 10 მაგისტრანტი, 1 პროფესიული).
- o ერთიანი ეროვნული გამოცდებით ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის უფლება მოიპოვა 4 სტუდენტმა. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხა ერთი სტუდენტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილი გამოთქვა თორმეტმა სტუდენტმა, რომლებმაც გადალახეს შიდა სამაგისტრო გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და ჩარიცხეს ბნტუ–ს სამაგისტრო პროგრამაზე “სატრანსპორტო ლოგისტიკა”.
- o მიმდინარე სასწავლო წელს მობილობის უფლებით ისარგებლა 10 მსურველმა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვაზე“ სხვა უსდ–დან გადმოვიდა 4 სტუდენტი. შიდა მობილობით ისარგებლა 6 სტუდენტმა.
- o შიდა მობილობით საზღვაო–საინჟინრო ფაკულტეტზე გადავიდა ერთი სტუდენტი, ხოლო სხვა უსდ–ში გადავიდა ორი სტუდენტი. o სტუდენტის სტატუსი შეიჩერა ხუთმა სტუდენტმა.
- o 2016–2017 წლის ფაკულტეტის სამუშაო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით მიწადა მოგახსენით შემდეგი: მიმდინარე სასწავლო წელს სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა უნივერსიტეტის აკადემიური კალენდარის მიხედვით. ზუსტ ვადებში განხორციელდა დაგეგმილი სასწავლო პროცესი, შუალედური და დასკვნითი გამოცდები. (რასად ადსტურებს სასწავლო, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ცხრილები, რომლის ელექტრონული ვარიანტი ხელმისაწვდომი იყო როგორც სტუდენტებისთვის ასევე პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისთვის სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემაში bntu.ini.ge–ზე).
- o სასწავლო წლის დატვირთვებით დათვალისწინებული ლექციები ტარდებოდა შეფერხებების გარეშე. (გაცენილი ლექციების აღდგება ხდებოდა უმოკლეს ვადებში, გაცენები ძირითადად აკადემიური პერსონალის მივილინებით იყო გამოწვეული).
- o მთელი წლის მანძილზე ხორციელდებოდა სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მონიტორინგი. უნდა ითქვას რომ პროფესორ – მასწავლებლების მიერ სისტემატიურად და დროულად ხდებოდა შეფასებების ასახვა, აღნიშნული სისტემით სარგებლობის წესი არ დაურღვევია არც ერთ პერსონალს.
- o განსაკუთრებულ კონტროლზე იყო აყვანილი სასწავლო პროცესის მიმდინარეობა (ლექციების, სემინარების შემოწმება), ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატიურად ანხორციელებდა ყველა აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის მიერ ჩატარებული ლექციების და სემინარების მონიტორინგს. ანალიზმა ცხადყო, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს, ზოგიერთ შემთხვევაში გაიცა მხოლოდ რეკომენდაციები,
- o რომლებით იქნა გათვალისწინებული. რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებას და ლექციის მეტი ვიზუალიზაციისათვის.
- o 2016 წლის ოქტომბერში დასრულდა საგანმანათლებლო პროგრამებში შესატანი ცვლილებების პროცესი. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მიერ კიდევ ერთხელ მოხდა სილაბუსების კორექტირება–განახლება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო სახელმძღვანელოების განახლებით.
- o მცირედი ცვლილებები შევიდა საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმებში (ძირითადად შეიცვალა სასწავლო კურსების განხორციელების სემესტრები), დაემატა არჩევითი საგნები და თავისუფალი კრედიტები. ეს ცვლილებები არ მოქმედებს პროგრამების მიზნებზე და შედეგებზე.
- o სისტემატიურად იმართებოდა ფაკულტეტის საბჭოს სხდომები.
- o ფაკულტეტი სისტემატიურად აწვდიდა უნივერსიტეტის ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურს ინფორმაციას, ფაკულტეტზე მიმდინარე ღონისძიებათა და სიახლეების შესახებ ბნსუ–ს ვებგვერდზე განსათავსებლად, ასევე აქტიურად იყენებდა სოციალურ ქსელში ბნსუ–ს ოფიციალურ გვერდს სტუდენტებისთვის და მსურველთათვის ინფორმაციის გასაზიარებლად.
- o რას შეეხება სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში ფაკულტეტის ჩართულობას, მიწადა აღვნიშნო, რომ ეს წელი გამორჩეული იყო ამ მიმართულებით.
- o ფაკულტეტის ხუთმა აკადემიურმა პირმა მონაწილეობა მიიღო სლოვაკეთსა და ავსტრიაში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის ერთერთი ორგანიზატორი იყო ჩვენი უნივერსიტეტი.
- o აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო პარიზსა და ბაქოში გამართულ საერთაშორისო–სამეცნიერო კონფერენციებში და უკრაინის ქალაქ კიროვოგრადას ნაციონალურ უნივერსიტეტის მიწვევით გამართულ ოფიციალურ ღონისძიებებში.
- o უნივერსიტეტში ჩატარდა ტრადიციული ოფიციალური მიღება მეზღვაურის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის სტუმრობდნენ სხვადასხვა ქვეყნის საზღვაო სფეროს და საქართველოს სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, პარტნიორი უნივერსიტეტის რექტორები, პროფესორები, საზეიმო ღონისძიების გამართვაში აქტიურად მონაწილეობდა ლოგისტიკის ფაკულტეტის ლექტორ–მასწავლებლები და სტუდენტები. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ბნსუ–ში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზებაში ასევე აქტიურად იყენენ ჩართული ლოგისტიკის ფაკულტეტის აკადემიური ასევე მოწვეული პერსონალი.
- o ლოგისტიკის ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა სასწავლო წლის დასრულებისთანავე დეკანატში წარმოადგინეს 2016–2017 სასწავლო წლის აკადემიური პერსონალის ანგარიში.
- o ბნსუ–ში აბიტურიენტთათვის მოეწყო ტრადიციული ღია კარის დღე და უმასპინძლა რეგიონის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს. მოსწავლეებს წარედგინა პრეზენტაცია. მოსწავლეებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, მათ გააცნეს ლოგისტიკის სპეციალობის უპირატესობები და დასაქმების პერსპექტივები. ასევე საშუალება მოგვეცა რეგიონის სკოლებში შევხვედროდით მომავალ აბიტურიენტებს და წარგვედგინა მათთვის ჩვენი უნივერსიტეტის, ფაკულტეტის პრეზენტაცია.
- o ფაკულტეტზე არჩეული იქნა სტუდენტური თვითმართველობის ახალი წევრები.
- o ლოგისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად იყენენ ჩართული სპორტულ ღონისძიებებში, ასევე სისტემატიურად იღებდნენ მონაწილეობას რეგიონში დაგეგმილ სტუდენტურ ღონისძიებებში.

ბარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი